პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 4 ივლისი, 1943 წ. № 142 (6767). ფასი 20 კაპ.

უზრუნველვყოთ რკინიგზის ფრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობა

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა ფრონტის საჭიროებისათვის მუშაობს. ზურგში ფაბრიკა-ქარხნები, შახტები და მაღაროები, ნავთის სარეწები, მრეწველობის ყველა დარგი გმირწოდებულ არმიას უმზადებს ვერაგ მტერზე გამარჯვების იარაღს, ტანსაცმელს, კვების პროდუქტებს, სამხედრო ქარხნებისათვის იღებს ქვანახშირს. ქალაქად და სოფლად მზადდება მრავალი სახის პროდუქცია ფრონტისა და მოსახლეობისათვის. ყველა ამ პროდუქციის დანიშნულებისამებრ მიტანა აკისრია რკინიგზის ტრანსპორტს, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს ზურგს ფრონტთან.

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის საქართველოს განყოფილებებმა ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმების შესრულების დარგში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს დიდი **სტალინის** საპირველმაისო ბრძანების განხორციელებისათვის ბრძოლით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ რკინიგზებზე სამხედრო მდგომარეობის შემოღების შესახებ კიდევ უფრო გააძლიერა რკინიგზელთა პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნისა და ფრონტის წინაშე. საქართველოს განყოფილებებმა ივნისის 20 დღეში ყველა სახის საქონლის დატვირთვის სადღეღამისო დავალება 118,5 პროცენტით შეასრულეს, გრაფიკის მიხედვით 100 პროცენტით არის განაღდებული სახალხო სამეზავრო მატარებელთა მოძრაობის სადღეღამისო დავალება.

კარგად მუშაობს მოძრაობის სამსახურის თბილისის განყოფილება (უფროსი ამხ. იოსელიანი), რომელმაც საკავშირო სოცშეჯიბრებაში აპრილსა და მაისში გამარჯვება მოიპოვა, მიიღო გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და მეორე პრემია. ეს განყოფილება დიდი გადაჭარბებით ასრულებს დატვირთვისა და გადმოტვირთვის გეგმებს, მას სანმუშო მაჩვენებლები აქვს მატარებლების სადღეღამისო მიმოქცევის დარგში.

გარდამავალი წითელი დროშისა და პრემიის მიღებასთან დაკავშირებით დაჯილდოებული არიან ამ განყოფილების მთელი რიგი მოწინავე ადამიანები, რომლებიც პატრიოტული თავდადებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ესენი არიან: მ. იოსელიანი, ნ. ჭიპაშვილი, გ. რეხიშვილი, ა. მიქაელიანი, პ. გოგოძე, ა. გაბოიანი, ნარიმანშვილი, გაბესაძე, კანდინაშვილი და სხვ.

საჭიროა თბილისის განყოფილებამ განამტკიცოს თავისი მიღწევები, შემდეგ თვეებშიაც შეინარჩუნოს საპატიო გარდამავალი წითელი დროშა. სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულს უნდა მიბაძონ ხაშურისა და სამტრედიის განყოფილებებმა.

სამხედრო ხასიათისა და სახალხო მეურნეობის ტვირთების დაუბრკოლებლივ დანიშნულ ადგილას მიტანისათვის აუცილებელია, რათა ტყუილუბრალოდ არცერთი საათით არ გასცდეს ვაგონები, დაჩქარდეს მათი ბრუნვა, სამუშაროდ, ამას არ იცავენ რკინიგზის ზოგიერთი კლიენტები. ისინი მათთვის განკუთვნილ ვაგონებს ზედმეტად აჩერებენ, აგვიანებენ ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვას, აფერხებენ ვაგონების ნორმალურ გამოყენებას. მაგალითად, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ მაისში ზედმეტად გააჩერა 12 ვაგონი და ამით ნორმის გარეშე გააცდინა 108 ვაგონსაათი, თბილისის საზეკვების ტრესტმა 4 ვაგონი მოაცდინა 104 ვაგონსაათით, ხოლო „გლავრიბას“ თბილისის განყოფილებამ 57 ვაგონი—858 ვაგონსაათით.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ვაგონების მოცდენა შედეგია თვით რკინიგზის სადგურების ზოგიერთი მუშაკის დაუდევარი დამოკიდებულებისა საქმისადმი (ნავთლუღი).

შეუწყნარებელი იყო ვაგონების მოცდენა მშვიდობიანობის პერიოდში, ეს მით უფრო დანაშაულია ომიანობის დროს.

„საჭიროა, რომ ზურგში ყველა ჩვენი ადამიანი და ყველა დაწესებულება შეწყობილად და ზუსტად, კარგი საათის მექანიზმივით მუშაობდეს“. დიდი სტალინის საპირველმაისო ბრძანებაში მოცემული ეს მითითება ურყევად უნდა ხორციელდებოდეს როგორც რკინიგზის ტრანსპორტზე, ისე მრეწველობის ყველა საწარმოში.

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის საქართველოს განყოფილებების მეთაურების, პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების, ყველა მუშაკის ამოცანას შეადგენს—მტკიცე წესრიგი დაამყარონ ტრანსპორტზე, ყოველმხრივ განამტკიცონ შრომის რკინისებური დისციპლინა, ებრძოლონ ტექნიკური ესპლოატაციის წესების დამრღვევთა, აღმოფხვრიან წუნი მუშაობაში, სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლით უზრუნველჰყონ ვაგონების ბრუნვის დაჩქარება, თავის დროზე შეადგინონ მატარებლები და გრაფიკით გაუშვან ისინი, წარმატებით შეასრულონ დატვირთვა-გადმოტვირთვის სახელმწიფო გეგმები.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რკინიგზის ტრანსპორტის ყველა საწარმო, მოძრაობის ყველა დარგი, ტრანსპორტის ყველა უბანი ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს რკინიგზელთა სრულიად-საკავშირო დღეს.

ამხანაგო რკინიგზელებო, შეუფერხებლად მიაწოდეთ სამხედრო ქარხნებს, ფრონტს, თქვენს ღვიძლ ძმას—წითელ არმიას ყველაფერი ის, რაც საჭიროა ვერაგი მტრის—პირსისხლიანი ფაშიზმის სრული განადგურებისათვის!

სარატოვის პირველი წითელდროშოვანი საგზაო სასწავლებლის XXV წლისთავი

შესრულდა სარატოვის 1-ლი წითელდროშოვანი სატანკო სასწავლებლის არსებობის 25 წლისთავი. სატანკო ჯარების მეთაურთა კადრების მომზადებაში მიღწეული ღირსშესანიშნავი წარმატებებისა და სამშობლოს წინაშე სბრძოლო დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სასწავლებელი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და მას მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-მაიორ ა. ი. ლიზიუკოვის სახელი.

სასწავლებლის მთელი რიგი მუშაკები დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით. (საკდესი).

სსრ კავშირის მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

მედლით „მამაცობისათვის“

1. ბელაძე ივანე სილიბისტროს-ძე—სერჟანტი
2. გელაშვილი გიორგი სერაფიონის-ძე — უფროსი სერჟანტი
3. გელაძე ზაქარია მირონის-ძე—სერჟანტი
4. გმგებეკორი პორფილე ანტონის-ძე—პოლიტხელის მოადგილე
5. დოლიძე ბენიამინ შალვას-ძე—წითელარმიელი
6. ჯავახიშვილი ალექსი ფირუზას-ძე—სერჟანტი
7. დოხნაძე ვიქტორ კონსტანტინეს-ძე—სერჟანტი
8. კეზერაშვილი იოსებ გაბრიელის-ძე—წითელარმიელი
9. კობახიძე პანტელეიმონ კონსტანტინეს-ძე — წითელარმიელი
10. სიორდია გრიგოლ თომას-ძე—წითელარმიელი
11. ჩიგოგიძე აკაკი ბესარიონის-ძე—წითელარმიელი
12. ჩაჩხუნაშვილი დავით ბაგრატის-ძე — წითელარმიელი
13. ბელიძე აფრასიონ არჩილის-ძე—პოლიტხელის მოადგილე
14. ჩიგოგიძე სერგო სიმონის-ძე — წითელარმიელი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“

1. აბრამიძე ვასილ სოლომონის-ძე—წითელარმიელი
2. ბერნაძე ნიკოლოზ ივანეს-ძე—სერჟანტი
3. გეწაძე ვასილ მიხეილის-ძე—სერჟანტი
4. ვარდიაშვილი ალექსანდრე ზაქარიას-ძე — წითელარმიელი
5. გოგოლაძე გიორგი ილიას-ძე — უფროსი სერჟანტი
6. გაბისონია გიორგი ნაუმის-ძე — წითელარმიელი
7. გაჩიჩლაძე ნიკოლოზ პანტელეიმონის-ძე—პოლიტხელის მოადგილე
8. ღვინიაშვილი გიორგი საბას-ძე—სერჟანტი
9. ქაჯაია ალექსი ამბაკოს-ძე—სერჟანტი
10. კვაჭანტირაძე ანტონ გიორგის-ძე — წითელარმიელი
11. ლომთათიძე დომენტი ერასტის-ძე—წითელარმიელი
12. მეძველია მიხეილ გიორგის-ძე—წითელარმიელი
13. ნაროუშვილი პანტელეიმონ ვასილის-ძე—წითელარმიელი
14. ნოსრაძე გიორგი ვლადიმერის-ძე—წითელარმიელი
15. პაიჭაძე დომენტი ნოეს-ძე — წითელარმიელი
16. თომაძე მიხეილ კალისტრატეს-ძე—სერჟანტი
17. ხარებავა შაქრო ალექსანდრეს-ძე—პოლიტხელის მოადგილე
18. ჩაფიძე ილარიონ გიორგის-ძე—უფროსი სერჟანტი

სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ფრიადოსან მოსწავლეთა კონფერენცია

საქ. ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა გადაწყვეტილება მიმდინარე წლის 24 ივლისს სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ფრიადოსან მოსწავლეთა რესპუბლიკური კონფერენციის მოწვევის შესახებ. კონფერენცია მიზნად ისახავს მოწინავე სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, სასწავლებლებისა და სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა მხილებას, სწავლის და სახელმწიფო შეკვეთების შესრულების ხარისხის ამაღლებას, აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდისადმი საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ყურადღების გამახვილებას, მის სწავლასა და საყოფაცხოვრებო საკითხებზე ზრუნვის გაძლიერებას.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნება ორი მოხსენება.

1) სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წლისთავი და მოსწავლეთა ამოცანები ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების განხორციელების საქმეში (მომხსენებელი საქ. სსრ სახკომსაბჭოს შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსი ამხ. ჩხეიძე).

2) სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები (მომხს. საქ. ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ცქიტიშვილი).

კონფერენციის დელეგატების რიცხვი განსაზღვრულია 300 კაცის რაოდენობით. კომკავშირის თბილისის, ბათუმის, სტალინირის, ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტებმა და ზესტაფონის, სამტრედიის, წულუკიძის, ბორჯომის რაიკომებმა უნდა ჩაატარონ სასწავლებლებისა და სკოლების მოსწავლეთა და თანამშრომელთა საერთო კრებები, რომლებზეც მოისმინონ დირექტორების მოხსენებანი სასწავლებლებისა და სკოლების მუშაობაზე.

რესპუბლიკური კონფერენციისათვის მოეწყობა სასწავლებლებისა და სკოლების მოსწავლეთა მიერ დამზადებული პროდუქციის და მოსწავლეთა შემოქმედების ნიმუშების გამოფენა. კონფერენციაზე ნაჩვენები იქნებიან აგრეთვე სასწავლებლებისა და სკოლების მზატვრული თვითმოქმედების საუკეთესო კოლექტივები.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 ივლისის დილის ცნობა

2 ივლისის დამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე აქტიურად მოქმედებდნენ ჩვენი მზვერავი ქვეგანაყოფები. ერთ უბანზე მზვერავთა რაზმმა მოწინააღმდეგის სანგრებში შეაღწია და ხელჩართული ბრძოლა გაუმართა გერმანელებს. ჩვენმა მებრძოლებმა გაჟლიტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი, მოსპეს 4 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი და დაანგრიეს 9 ბლინდაჟი. სხვა უბანზე მზვერავები უფროს ლეიტენანტ პროტასოვის მეთაურობით შეიპარნენ გერმანელთა განლაგებაში და უეცრად მიიტანეს იერიში მოწინააღმდეგის ქვეგანაყოფზე. ჰიტლერელებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან, ამასთან დაჰყარეს რადიოსადგური, ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ავტომატი და შაშხანა, ნაღმსაძიებელი და სხვა სამხედრო ქონება. მზვერავებმა ხელი იგდეს დავლა და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით გერმანელთა ერთმა ასეულმა ქვეითმა ჯარმა ხცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. ნ ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის იერიში და გაჟლიტეს 30 ჰიტლერელი. სხვა უბანზე ჩვენი მზვერავები, შეიჭრნენ გერმანელთა სანგრებში, გაჟლიტეს მოწინააღმდეგის ჯარისკაცთა ჯგუფი, ხელთ იგდეს ტყვეები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

ჩვენმა მფრინავებმა საპაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე იმ ბატარიის ნაღმტყორცნელებმა, სადაც მეთაურად არის ამხ. ბატიგინი, სროლა აუტეხეს მტრის ველოსიპედისტთა კოლონას და გაჟლიტეს 14 ჰიტლერელი. სხვა უბანზე 6 ნაწილის არტილერისტებმა სროლა აუტეხეს მოწინააღმდეგის შეჯგუფებულ ქვეითს ჯარს და მოსპეს 70 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 150-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია მტრის 19 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 5 სათვალთვალო პუნქტი. არტილერიის ჯაშენის შედეგად მოწინააღმდეგის პოზიციებზე ბევრგან გაჩნდა დიდი ხანძარი და მოხდა 30-მდე ძლიერი აფეთქება.

* * *

კამენეც-პოდოლსკის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა ნაღმებზე ააფეთქეს გერმანელთა სამხედრო ეშელონი, დაიმსხვრა ორთქლმავალი, 6 საკლასო ვაგონი და 2 პლატფორმა. ჰიტლერელები სამ დღეს სწმენდდნენ და არემონტებდნენ ლიანდაგს. მეოთხე დღეს მოძრაობა განახლდა, მაგრამ მცირე ხნით. პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მტრის პირველივე მატარებელი, რომელიც მეზობელი სადგურიდან გამოვიდა. მარცხის შედეგად მოსპობილია ორთქლმავალი და 17 ვაგონი. პარტიზანული დაზვერვა ხედავდა, თუ როგორ ეხიდებოდნენ გერმანელები ქალაქისაკენ ზევრ დაჭრილ და მოკლულ ჯარისკაცს სატვირთო მანქანებითა და საბიდრებით.

* * *

გერმანელთა თვითმფრინავ „იუნკერს-88“-ის ეკიპაჟის ტყვე მეთაურმა, ლეიტენანტმა კ. ლემანმა განაცხადა: „ორი წლის ომის შემდეგ მდგომარეობა ფრონტებზე ძირიანფესვიანად შეიცვალა. გერმანია ახლა იძულებულია თავდაცვაზე გადავიდეს. ბევრი ჯარისკაცი დარწმუნებულია, რომ ინგლის-ამერიკას ჯარები მალე გადმოსხდებიან ევროპაში, უკანასკნელ ხანს ოფიცერთა წრეებში ხშირად ლაპარაკობდნენ ამ თემაზე. ძნელად შეხვდებით ისეთ ოფიცერს, რომელიც ფიქრობდეს, რომ ევროპაშეწოდებული „ატლანტის ზღუდე“ სადესანტო არმიებისათვის დაბრკოლებად გამოდგება. ლაყბობა „ატლანტის ზღუდის“ შესახებ მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ გერმანიას ეშაქრება მეორე ფრონტის უშუალო საფრთხე, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია“.

* * *

მიღებულია ცნობა გერმანელი ფაშისტი არამზადების ახალი ბოროტმოქმედების შესახებ. გერმანელი მფრინავები სასწავლო მიზნით ახდენენ მშვიდობიანი სოფლების სავარჯიშო დაბომბვას ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში. 21 მაისს გერმანიის თვითმფრინავმა ფუგასური ბომბები დააყარა მინსკის ოლქის პუზოვიჩის რაიონის სოფელ ბოლოჩიას. დაინგრა რამდენიმე სახლი. მოკლულია 3 ქალი და ექვსი წლის გოგონა. ივნისში გერმანიის 2 ბომბდამშენმა იმავე რაიონში 12 ბომბი დააყარა სოფელ გრებლიას. დაინგრა 15 სახლი. მოკლულ და დაჭრილია მრავალი ქალი და კაცი.

* * *

ავსტრიაში ძალიან გახშირდა სადივერსიო აქტები. ვენის მახლობლად არსებულ მანქანათმშენებელ ქარხანაში მუშებმა ააფეთქეს ძალდანადგარი. ამასთან დაკავშირებით ქარხნის მთელი რიგი სამმართველო მწყობრიდან გამოყვანილია ხანგრძლივი დროით. ზიმერინგის საავტომობილო ქარხანაში მიმღებმა კომისიამ დაიწუნა ავტომანქანების დიდი პარტია. ფლორიანსდორფის ორთქლმავალსარემონტო ქარხანაში უცნობმა პირებმა დაამტვრიეს ბევრი მეტად რთული ჩარხი.

ვ ივლისის საღამოს ცნობა

3 ივლისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა გემებმა და ავიაციამ შავ ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის შხუნა და თვითმავალი კარჭაპი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე კანტიკუნტი საარტილერიო-სანაღმმტყორცნო და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა იყო ორივე მხრიდან. ჩვენმა ნაწილებმა გაჟლიტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი, მოსპეს მოწინააღმდეგის 6 ტყვიამფრქვევი და ჩაახშეს რამდენიმე საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარიის ცეცხლი. ერთ უბანზე გერმანელთა რაზმმა ცდა შემოეღწია ჩვენი თავდაცვის განლაგებაში. მტრის მზვერავები ნაღმიან მინდორს წაეწყდნენ. გერმანელთა ნაწილი მოსპობილ იქნა ნაღმების აფეთქებით. დანარჩენი ჰიტლერელები გაჟლეტილი არიან ჩვენი მებრძოლების თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით საბრძოლო დაცვიდან.

* * *

ბელგოროდის რაიონში ნ ნაწილის არტილერისტებმა რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმა მოაწყეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე და მოსპეს გერმანელთა ქვემეხი, 3 ტყვიამფრქვევი და 7 საზიდარი ტვირთიანად. დანგრეულია მტრის 4 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 5 სათვალთვალო პუნქტი. სნაიპერთა ჯგუფმა, რომელსაც გვარდიის უფროსი ლეიტენანტი პრიბლეცნია მეთაურობს, ერთი დღის განმავლობაში მოსპო მოწინააღმდეგის 14 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენი ნაწილები ეწეოდნენ დაზვერვას და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლას მოწინააღმდეგისთან. ჩვენმა არტილერისტებმა აღმოაჩინეს მტრის საცეცხლე წერტილი და ჩაახშეს მოწინააღმდეგის რამდენიმე საარტილერიო ბატარიის ცეცხლი. 6 ნაწილის სნაიპერებმა 44 ჰიტლერელი გაჟლიტეს.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 2 ქვემეხი, 5 ტყვიამფრქვევი, დანგრეულია მოწინააღმდეგის 14 მიწური და 6 სათვალთვალო პუნქტი. მზვერავებმა უფროს სერჟანტ ანისოვის მეთაურობით ფარულად შეაღწიეს მოწინააღმდეგის სანგრებში. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 17 ჰიტლერელი და უდანაკლისოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში. სხვა უბანზე წითელარმიელთა ჯგუფმა ლეიტენანტ ტროშევის მეთაურობით გაჟლიტა 15 გერმანელი, ააფეთქა 2 ბლინდაჟი და წაართვა მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევი და რამდენიმე ავტომატი.

* * *

ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი ივნისის დამლევს გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. პარტიზანებმა მოსპეს მტრის 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა პატრიოტებმა დააზიანეს მოწინააღმდეგის 2 ტანკეტი და ააფეთქეს 12 ავტომანქანა. წამოღებულია დაჟალ. ორიოლის სხვა რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის ეშელონი დასხვრეულია ორთქლმავალი და 15 ვაგონი სამარ მასალიანად.

* * *

ორიოლის საგზრეთით წითელი არმიის მზარეზე გადმოვიდა გერმანელთა 78-ე საიერეშო დივიზიის 4 ჯარისკაცი. გადმოსულმა ანტონ ლ-მ განაცხადა: „ჩვენს ასეულში, გერმანელებს გარდა, იყო 35 სლოვენი, 6 პოლონელი, 8 ლოტარინგიელი ფრანგი, 5 ლუქსემბურგელი, 3 ჩეხი, 2 ჰოლანდიელი და ერთი ბელგიელი. ყველა ისინი ძალით არიან მობილიზებულნი გერმანიის არმიაში. მიუხედავად მუქარისა, ბევრი სლოვენი არ გამოცხადდა გასაწვევ პუნქტებში. ზოგი პარტიზანულ რაზმებში შეეიდა და გერმანელების წინააღმდეგ იბრძვის, ზოგი იმალება. ჩემმა მეგობარმა ლუდვიგ ვუკონმა, რომელიც სოფელ ბოლფენგიდან არის, გადაჭრით განაცხადა ეარი გერმანიის არმიაში წასვლაზე. გესტაპოელებმა დააპატიმრეს ვუკონი, მისი დედა, ორი და და საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. სლოვენებს, რომლებიც თავიანთი სურვილის წინააღმდეგ აღმოჩნდნენ გერმანიის არმიის რიგებში, სურთ გადმოვიდნენ რუსების მხარეზე. ჩვენი პოლკიდან პირველი გადმოვიდა ჩემი თანამემამულე ფრანკი. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ მოვისმინეთ მისი სიტყვა რადიოთი. იგი მოგვიწოდებდა მიგვეძაა მისი „მაგალითისათვის. მეორე დღეს ჩვენ ოთხნი წამოვედით რუსებთან“.

* * *

ამას წინათ ქალაქ ლამბიუსარში (ბელგია) პატრიოტებმა ქვანახშირის დიდი შახტი ააფეთქეს. ბრიუსელის ახლოს გერმანელთა სამხედრო ეშელონის მარცხი მოხდა. კატასტროფის შედეგად მოკლული და დაჭრილია ბევრი ჰიტლერელი. ლიეჟში ბელგიელი პატრიოტები თავს დაეხნენ გერმანელთა საზენიტო ბატარიას, ამოხოცეს მომსახურე პერსონალი, ხოლო ქვემეხები მწყობრიდან გამოიყვანეს.

ნაკადური მეთოდით მუშაობის პირველი შედეგები

ქალაქი ნ., 3 ივლისი (საკდესი). თვითმფრინავმშენებელ ქარხანაში, რომლის დირექტორიც არის ამხ. იარუნინი, დანერგილია წარმოების ნაკადური სისტემა. ყველაზე მეტი წარმატებით ხორციელდება ეს სისტემა საავრეგატო და მანქანათა საბოლოო აწყობის სამეკროებში.

ნაკადი 11 თანმიმდევრულ ოპერაციად არის დაყოფილი, რომლებიც თერთმეტ სტენდზე სრულდება. ყოველი სტენდის სათავეში დგას კვალიფიციური ოსტატი, რომელიც პასუხს აგებს თავის უბანზე მანქანათა მონტაჟის მთელი კომპლექტისათვის. მუშებს ეძლევათ საცვლო დავალება, რაც დაკავშირებულია ნაკადური აწყობის მთელ პროცესთან. ტექნიკური კონტროლის განყოფილება იბარებს მუშაობას საცვლო დავალებათა დამთავრების შემდეგ, რაც საშუალებას იძლევა დროულად აღმოჩენილ იქნას დეფექტები ცალკეული კვანძებისა და აგრეგატების აწყობაში და აღმოფხვრილ იქნას ისინი. ნაკადური პროცესის მიხედვით აგებულია დეტალებით, კვანძებითა და მასალებით საამწყობო სამეკროთა მომარაგების გრაფიკი.

ახალი სისტემით ქარხნის ნახევარი წლის მუშაობის გამოცდილებამ დიდი საწარმოო ეფექტი მოგვცა: აღმოფხვრილია იერიშობანა და გაუბედურებენება, რამდენიმე თვის განმავლობაში პროდუქციას უშვებენ გრაფიკის ზუსტად დაცით, შრომის ნაყოფიერება პირველ კვარტალში გადიდდა 13 პროცენტით, აპრილსა და მაისში—22 პროცენტით, ბევრად შემცირდა დრო, რომელიც მანქანების დეტალების გამოშვებას ხმარდება, გაიაფდა ნაწარმის თვითღირებულება.

საბჭოთა კავშირში

ნოვოსიბირსკის ოლქის ერთ-ერთ ჰოსპიტალში კვალიფიციურ მელითონე მუშებს ამზადებენ სამამულო ომის ინვალიდთაგან. დაჭრილნი, რომელნიც ამთავრებენ მკურნალობას, წარმატებით ეუფლებიან ხარატის, მღარველის, ავტოამწყობის სპეციალობას. ჰოსპიტალთან გახსნილია სპეციალური სახელოსნოები, რომლებშიც უკვე გამოუშვეს დიდძალი სხვადასხვა პროდუქცია — წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მანქანების დეტალები და სხვ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტის გადაწყვეტილებით იქმნება უკრაინული ფილარმონია. დროებით იგი სარატოვში იქნება. უკრაინული ფილარმონიის დირექტორად დაინიშნა ვ. ი. ზავადსკი.

* * *

მომავალ სასწავლო წელს ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თეატრალურ-სამხატვრო სასწავლებლებში მიღებულ იქნება 500 კაცი.

2 ივლისი (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ოკუპირებული ქვეყნების ხალხთა ბრძოლა

ფრანგი მოსახლეობა შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს ოკუპანტებს. ამასწინათ ტულუზში შეტაკება მოხდა გერმანელ ჯარისკაცთა და მოსახლეობას შორის, რომელმაც უარი თქვა ჰიტლერულ კატორღაში წასვლაზე. პოლიცია და ჯარისკაცები ცდილობდნენ ძალით შეეყარათ მობილიზებულნი ვაგონში. მაგრამ ამ დროს მათ მიეშველა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც მათ მიაცილებდა. ჰიტლერელები უძლური აღმოჩნდნენ აღედგინათ „წესრიგი“ და დიდძალი ხალხი ვაგზლიდან ქალაქში გაემართა. დემონსტრანტებმა დაანგრიეს მერიის შენობა. მასობრივი ჩხრეკის მიუხედავად, გასაგზავნად გათვალისწინებული 200 მუშიდან ოკუპანტებმა მხოლოდ 14 კაცის პოვნა მოახერხეს.

გერმანიაში ფრანგი მუშების ძალად გაგზავნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ხალხმრავალი დემონსტრაციები გაიმართა ავრეთვე პარიზსა და მარსელში.

სამხრეთ საბერძნეთში დიდი შეტაკება მოხდა ბერძენ პარტიზანებსა და იტალიელთა ჯარებს შორის. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა, მათ შორის სამთო ქვემეხები. ჰოწინააღმდეგემ 300 კაცი დაკარგა მარტო მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ბერძენი პარტიზანი მეზღვაურები მეთევზეთა ნავებით რამდენჯერმე დაესხნენ თავს იტალიის ტრანსპორტებს.

იუგოსლავიის დასავლეთ ნაწილში ამჟამად ძლიერი ბრძოლები სწარმოებს იუგოსლავიელ პარტიზანებსა და ოკუპანტებს შორის, რის შედეგადაც გერმანელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ მთელ რიგ რაიონებში. იუგოსლავიელი პატრიოტები, რომლებმაც მოიგერიეს მოწინააღმდეგის უკანასკნელი—მეხუთე დიდი ცდა გაენადგურებინა პარტიზანული მოძრაობა—თვითონ ეწეოდნენ კონტრშეტევაზე ჩერნოგორიის მთებში. გერმანელებს მძიმე ზარალი მოსდით. (საკდესი).

დავრაზმოთ მთელი ძალები მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის

ყოველმხრივ მოვემზადოთ მოსავლის აღებისათვის

ქარელი („კომუნისტის“ საკ. კორ.). მოწინავე კოლმეურნეობები ყველა ზომებს იღებენ შრომის ნაყოფიერების გასაოცებლად. ქარელის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. ბოტგაძე) სამი საბავშვო ბაგა მოაწყო და ამის შედეგად ფართოდ იყენებს ქალთა შრომას. კოლმეურნეები ოლა ეგნატაშვილი, ნატაშა ოკოშვილი, ანა ყულუმბეგაშვილი ენერგიულად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში და ყოველდღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ. ამ კოლმეურნეობაში ნათესების დამუშავებასთან ერთად მიმდინარეობს მოსავლის აღებისათვის მზადება. კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია ცელებით, ფოცხებით, ფიწლებით, მიმდინარეობს ურმების შეკეთება.

ნათესების დამუშავება დიდი მზრუნველობით სწარმოებს სასირეთის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. თოდაძე). აქ სამჯერ გამარგლეს თავთავიანი კულტურები, გასწმინდეს სარეველა ბალახისაგან და მოსავალს კარგი პირი ეჭირა. მთავრდება სიმინდის მეორე თოხნა. მზრუნველობით ეუვლიან შაქრის ჭარხლის ნათესებს და ყოველმხრივ მზად ხვდებიან მოსავლის აღებას.

კარგად ამუშავებენ ნათესებს ზღუდრის 26 კომპირის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. აკეთებენ ურმებს, წესრიგში მოჰყავთ სხვა ინვენტარიც.

მზადება მომავალისა ხდებიან მოსავლის აღებას. დაამთავრეს კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტი. სულ რაიონში ამუშავებს 20 კომბაინი და 9 სალეწი.

რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ბატიროოზულად ეკიდებიან ნათესების დამუშავებას და ცუდად ემზადებიან მოსავლის აღებისათვის. ქვინტაკოცის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე თ. ჩუტკერაშვილი) 150 ჰექტარზე გაუმარგლავი დასტოცა თავთავიანი კულტურები, რომელიც დასარევლიანებულია. ნელი ტემპით მიმდინარეობს სიმინდისა და შაქრის ჭარხლის დამუშავება. მოუმზადებელი ხვდება მოსავლის აღებას რუისის წინაბუნის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — მამესწარაშვილი). ცუდი ტუშაობის შედეგად 10 ჰექტარზე გაფუჭდა სიმინდის ნათესი. უხარისხოდ სწარმოებს შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეული კულტურების დამუშავება. საკმაო რაოდენობით აკლია ცელები, ფოცხები, ტომრები, შეუკეთებელია ყანებში მისასვლელი გზები. მოსავლის აღების დროს კოლმეურნეობაში საჭირო იქნება 30 ურემი ყოველ

ბ. ჯავშნიანი მატარებლის წარჩინებული ადამიანები: ზევით—ძარცხნიდან მარჯვნივ: უფროსი ლეიტენანტი ს. არტიუშინი, სერჟანტი დ. ხაჭაპურიძე, უფროსი სერჟანტი ი. ბაქრაძე, ქვევით—უმცროსი სერჟანტი ა. კვირკელიძე, უმცროსი სერჟანტი ზ. ხუდადოვი და უფროსი სერჟანტი მ. მუჯარიძე.

ჯავშნიანი მატარებლის წარჩინებული ადამიანები

ნ ჯავშნიანმა მატარებელმა, რომელზედაც იბრძვიან სერჟანტი დ. ხაჭაპურიძე, უფროსი სერჟანტი ი. ბაქრაძე, უმცროსი სერჟანტი ა. კვირკელიძე, უმცროსი სერჟანტი ზ. ხუდადოვი და უფროსი სერჟანტი მ. მუჯარიძე, მრავალი სახელოვანი ბრძოლა გადაიხადა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს მტრის საარტილერიო ბატარიის ორმა ქვემეხმა ცეცხლი დაუშინა ჯავშნიან მატარებელს. მატარებლის პირველმა ქვემეხმა, რომლის მემეხნე იყო სერჟანტი დ. ხაჭაპურიძე, დაუშინა მათ ცეცხლი. პირველადვე გასროლილი სამი ყუმბარით მტრის ორივე ქვემეხი განადგურებულ იქნა.

ერთ დღეს შეტევაზე გადმოვიდა მტრის რამდენიმე ათეული ტანკი და ქვეითი ჯარი, რომლებსაც ნაღმმტყორცნელები და არტილერია ეხმარებოდნენ. ჯავშნიანი მატარებლის ყველა ქვემეხი ამოქმედა. მემეზნეებმა ბ. ხაჭაპურიძემ, ა. კვირკელიძემ და ზ. ხუდადოვმა ამ ბრძოლაში ორმაგი სისწრაფე გამოიჩინეს. ექვსი წუთის განმავლობაში თითოეულმა მათგანმა 40 ყუმბარის ნაცვლად 70-80 ყუმბარა ესროლა მტერს. მტრის შემოტევა მოგერიებულ იქნა. განადგურებულ და დაზიანებულ იქნა მტრის ათობით ტანკი, სამლულიანი ნაღმსატყორცნი, სატვირთო მანქანები და მრავალი ჰიტლერელი.

— შენიღბულ ჯავშნიან მატარებელს,—მოგვითხრობს უფროსი სერჟანტი ი. ბაქრაძე,—400-მდე მეავტომატე მოუახლოვდა. დილის 6 საათი იყო. ავტეხეთ სროლა. ხაჭაპურიძე, რომელიც მაშინ ქვემეხის მეშინაგან მუშაობდა, ქვემეხზე მარტო დარჩა. მე იმ დროს არ მქონდა უშუალო დავალება და მოვეხმარე ქვემეხზე. ამ დროს მტრის ყუმბარამ ორთქლმავალი დაზიანა. მიეიღე ბრძანება მომეყვანა შველა სადგურიდან, რომელიც 9 კილომეტრით იყო დაშორებული, მტრის ცეცხლქვეშ გავაღწიე სადგურამდე და მოვიყვანე მემანქანეები. მტრის შეტევა მოგერიებულ იქნა. ჰიტლერელი ბანდიტების უმრავლესობა მოსპობილ იქნა.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს ჯავშნიანი მატარებლიდან შეამჩნიეს, რომ 80 ტანკი შემოერტყა ჩვენს სათვალთვალო პუნქტს. საჭირო იყო მისი გადარჩენა. მაგრამ მებრძოლები დაფიქრდნენ ტანკებს რომ დავუშინოთ, ვაი თუ სათვალთვალო პუნქტს მოხვდეს და ჩვენები დაზიანოსო. მაგრამ სათვალთვალო პუნქტიდან მოვიდა ბრძანება—დაუშინეთ მტრის ტანკებს, ჩვენ ნუ დაგვზოგავთო. მაშინ ჯავშნიანი მატარებლის არტილერისტებმა მთელი თავიანთი ოსტატობა გამოიჩინეს. მათ გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინეს მტრის ტანკებს. ორათეულზე მეტი ტანკი და რამდენიმე ასეული ჰიტლერელი განადგურეს, დანარჩენები უკან გაიქცნენ, ხოლო სათვალთვალო პუნქტი ოდნავადაც არ დაზიანებულა. უმცროსი სერჟანტის ზ. ხუდადოვის, უფროსი სერჟანტის მ. მუჯარიძის, უმცროსი სერჟანტის ა. კვირკელიძის, სერჟანტ დ. ხაჭაპურიძის და სხვების ნასროლი ყუმბარები ზუსტად ეცემოდა მიზანში ამოღებულ ადგილს.

— საშინელი ბრძოლა გადავიტანეთ ნ დასახლებული პუნქტის რაიონში,—მოგვითხრობს უფროსი ლეიტენანტი ს. თ. არტიუშინი.—დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე არ შეწყვეტილა მტრის ქვემეხების სროლა. მაგრამ ოსტატური მანევრირებით მატარებელმა აიცდინა დაზიანება. ამ დღის განმავლობაში ჩვენ 14 ტანკი დავაზიანეთ. რამდენჯერმე დაირღვა კავშირი, მაგრამ ჩვენი მეკავშირეები სწრაფად აღადგენდნენ ხოლმე მას. ჯავშნიანმა მატარებელმა საუკეთესოდ შეასრულა დავალება. ოსტატურად იბრძოდნენ სერჟანტი ხაჭაპურიძე, უფროსი სერჟანტი მუჯარიძე, უფროსი სერჟანტი ბაქრაძე, უმცროსი სერჟანტი ზ. ხუდადოვი, ჰაერიდან მტერს მარჯვედ იგერიებდა ლეიტენანტი სერგო გრიგოლის-ძე აფციური. საუკეთესოდ ასრულებდა თავის მოვალეობას მზვერავი ბორის ამპაკოს-ძე ცომაია, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“

6 წითელარმიელ გაზეთში ვ. ვიქტოროვი სწერს ამ ჯავშნიან მატარებელზე: „ღამე ჯავშნიანმა მატარებელმა მიიღო საბრძოლო ბრძანება—ცეცხლითი თავდასხმა მოეხდინა მტრის განლაგებაზე... წყვდიადის საფარქვეშ მატარებელი მიუახლოვდა მტერს, ხოლო გათენებისას დაუშინა გრიგალისებური ცეცხლი. ყოველი ქვემეხის გუნდა გაანადგურა ათობით ფრაცი... ჰაერში იატყორცა მტრის ნაღმსატყორცნები, ქვემეხები, ფრიცების ნარჩენები. ჯავშნიანი მატარებლის მთელი პირადი შემადგენლობა დაუფლალავად მოქმედებდა. ის მეთაურები, რომლებსაც სხვა მოვალეობა ეკისრათ, ცდილობდნენ უშუალო მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლაში. მაგალითად, ამხ. ბაქრაძემ და ქვემეხის მოსწავლე მუჯარიძემ წარმატებით შეასრულეს ქვემეხების მეთაურება...“

ამავე გაზეთის სხვა ნომერში სათაურით „კავკასიის გმირები“ მოთავსებულია იმ მებრძოლთა და მეთაურთა სია, რომლებიც შეტანილი არიან „საბრძოლო დიდების წიგნში“. ამ სიაში ნათქვამია: „სარდლობის წარდგენით საბრძოლო დიდების წიგნში შეტანილი არიან: უფროსი სერჟანტი ივანე მიხეილის-ძე ბაქრაძე, ჯავშნიანი მატარებლის ქიმსამსახურის უფროსი. მან ბრძოლის დროს შესცვალა მწყობრიდან გამოსული ქვემეხის მეთაური და გაანადგურა მტრის 2 ქვემეხი, სერჟანტი დიმიტრი ილარიონის-ძე ხაჭაპურიძე. ქვემეხის მემეზნე ხაჭაპურიძემ მოსპო მტრის 2 ქვემეხი“.

სერჟანტი დიმიტრი ილარიონის-ძე ხაჭაპურიძე დაიბადა 1913 წელს ჩხარის რაიონის სოფელ ქვედა ალისუბანში. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ჭიათურის მაღაროებში მუშად. 1932 წელს დაამთავრა ქუთაისის სამშენებლო ტექნიკუმი. ჯერ კიდევ ტექნიკუმში არყოფილ იქნა კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად. 1933 წლის გაიგზავნა ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობაში კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად. 1934 წელს გაწვეულ იქნა წითელ არმიაში, სადაც დაამთავრა არტილერიის უმცროსი სკოლა. 1939 წლიდან მუშაობს საზოგადოებრივი კვების ტრესტის სისტემაში. ომის დაწყების დღიდან მსახურობს ამ ჯავშნიან მატარებელზე ჯერ მეშინაგან, ხოლო შემდეგ ქვემეხის მეთაურად. დაჯილდოებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.

უფროსი სერჟანტი ივანე მიხეილის-ძე ბაქრაძე დაიბადა 1915 წელს ონის რაიონის სოფელ ფარახეთში. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა 1933 წელს. 1937 წლამდე, წესით არმიაში გაწვეულადე, მუშაობდა ზუგდიდის რადიოკვანძში. სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ 1940 წლიდან მუშაობს „ტრანსპორტის“ სისტემაში. ომის დაწყებიდან იბრძვის ჯავშნიან მატარებელზე.

უმცროსი სერჟანტი ი.აკი ივანეს-ძე კვირკელიძე დაიბადა 1912 წელს ბახარაძის რაიონის სოფელ ეკიჯვარში. 1935 წელს დამთავრა საშუალო სასწავლებელი. 1936 წელს გაწვეულ იქნა წითელ არმიაში, სადაც მსახურობდა არტილერისტად. 1939 წლიდან სამამულო ომის დაწყებამდე მუშაობდა თბილეაპრობის სისტემაში. ომის დაწყებიდან მსახურობს ჯავშნიან მატარებელზე ჯერ მეშინაგე, შემდეგ ქვემეხის მეთაურად. დაჯილდოებულია სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით.

უმცროსი სერჟანტი ზურაბ გიორგის-ძე ხუდადოვი დაიბადა 1915 წელს თბილისში, მუშის ოჯახში. დაამთავრა შვიდწლედი. შემდეგ მუშაობდა თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში ზეინკლად. 1938 წელს გაწვეულ იქნა წითელ არმიაში და მსახურობდა მეზენიტედ. ომის დაწყებიდან მსახურობს ჯავშნიან მატარებელზე ჯერ მეზენზედ, შემდეგ ქვემეხის მეთაურად. დაჯილდოებულია სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით.

უფროსი სერჟანტი მიხეილ ივანეს-ძე მუჯარიძე დაიბადა 1915 წელს კასპის რაიონის სოფელ ყარალეჯში. დაამთავრა შვიდწლედი და შემდეგ რკინიგზის საფაბრიკო-საკარხნო სკოლა. 1932-დან 1934 წლამდე მუშაობდა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, რის შემდეგ გადავიდა ერთ-ერთ თეატრში სცენის მუშად. 1936 წელს გაწვეულ იქნა წითელ არმიაში, სადაც მსახურობდა ჯავშნიან მატარებელზე. 1938 წლიდან სამამულო ომის დაწყებამდე კვლავ სცენის მუშად მუშაობს. ომის დაწყებიდან მსახურობს ჯავშნიან მატარებელზე ქვემეხის მეთაურად. დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ნ. ილოშვილი

ლეპეშეგი

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება ხმელთაშუა ზღვის ბასეინში

ლონდონი, 3 ივლისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 1 ივლისს ღამით მოკავშირეთა ბომბდამშენები თავს დაესხნენ სიცილიასა და სარდინიას.

იმავე დღეს დაბომბილ იქნა ლეჩეს და გროტალიის აეროდრომები სამხრეთ იტალიაში. ბომბები პირდაპირ მოხვდა მთელ რიგ ობიექტებს. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის 12 ავიაგამანადგურებელი.

ნიუ-იორკი, 3 ივლისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ის პირნი, რომელნიც ამას წინათ იტალიიდან სტამბოლს ჩავიდნენ, გვიამბობენ, რომ საჰაერო დაბომბვის შედეგად ნეაპოლში ძალიან ცოტა შენობა გადარჩა უვნებელი. ერთ-ერთი დაბომბვის დროს დიდად დაზიანდა ტრანსპორტები ჯარებიანად. ნეაპოლის ახლოს ჩაძირულ იქნა 5 გემი, რომლებზეც მტრის 8.000 ჯარისკაცი იყო.

უნგრელ ჯარისკაცთა ანგვიგერმანული განწყობილება

სტამბოლი, 3 ივლისი (საკდესი). უნგრელ ჯარისკაცებში სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება ანტიგერმანული განწყობილება. დასავლეთ უნგრეთის სოფელ ვარანიაში, რომლის მოსახლეობას უმთავრესად გერმანელები შეადგენენ, ამას წინათ შემდეგი შემთხვევა მოხდა. უნგრელთა იმ ბატალიონის ჯარისკაცებმა, რომელმაც სოფელზე გაიარა, სასწავლო სროლა მოაწყეს და სამიზნედ გამოიყენეს ჰიტლერელთა სააგიტაციო პლაკატი „გერმანიის გამარჯვება“.

ამას წინათ სადგურ სოლნოკში უნგრელ ჯარისკაცთა ჯგუფმა სასტიკად სცემა ორ გერმანელ ოფიცერს.

უცხოეთის ქრონიკა

ამ დღეებში ლონდონს გაისმინა გამოფენა, რომელიც მიძღვნილია ომიანობის დროის საბჭოთა ხელოვნებისადმი. გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალი ფოტოსურათი, რომლებიც ასახავენ საბჭოთა მსახიობების, მუსიკოსებისა და მწერლების საქმიანობას ფრონტზე. გამოფენილია აგრეთვე სტალინური პრემიის ლაურეატთა ფოტოპორტრეტების სერია, საბჭოთა სამავშვო წიგნების ფერადილუსტრაციები და სამხედრო პლაკატები, მათ შორის პლაკატი, რომელიც მიძღვნილია ინგლისის მე-8 არმიის მომქედებისადმი ტუნისში.

* * *

იტალიელმა და გერმანელმა ოკუპანტებმა მოსპეს იუგოსლავიის ათასობით სოფელი და უსახლკაროდ დასტოვეს ასეთივე ასეთივნირ მშვიდობიანი მცხოვრები. ოჯახების უდიდესი რაოდენობა გარეკეს თავიანთი მშობლიური ადგილებიდან და ამჟამად ისინი იძულებული არიან მთელს იუგოსლავიაში იხეტიალონ და ეძებონ თავშესაფარი.

* * *

ინგლისს ჩავიდა კანადის სამხედრო-საჰაერო ძალების ახალი დიდი კონტინგენტი.

* * *

ოკუპანტების მოთხოვნით, საფრანგეთმა წელს გერმანიაში უნდა გაგზავნოს ექვსასეული ვალონი ცენტერი მარცელეული — ნის ჯარისკაცებმა, რომელმაც სოფელზე გაიარა, სასწავლო სროლა მოაწყეს და სამიზნედ გამოიყენეს ჰიტლერელთა სააგიტაციო პლაკატი „გერმანიის გამარჯვება“.

ამას წინათ სადგურ სოლნოკში უნგრელ ჯარისკაცთა ჯგუფმა სასტიკად სცემა ორ გერმანელ ოფიცერს.

* * *

ბერლინიდან ცნობილია, ინგლისელ-ამერიკელთა ავიაციამ ბომბი დააყარა ბერლინის ბინებს. ბომბებმა ბევრი ადამიანი დაიხოცა. ბომბებმა ბევრი ადამიანი ჭრილობა მიაყენ